საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №493

2006 წლის 17 აგვისტო

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შექმნის შესახებ

1. დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით, „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი (შემდგომში – მუზეუმი).

2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ (გ. გაბაშვილი):

ა) უზრუნველყოს მუზეუმის დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა;

ბ) განახორციელოს მუზეუმის სახელმწიფო კონტროლი.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ი. ჩოგოვაძე) უზრუნველყოს შესაბამისი ქონების მუზეუმისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა.

მ. სააკაშვილი